ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
შაბათი
4
აგვისტო
№93 (10330)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАИОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

31 ივლისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. გუმბარიძის ხელმძღვანელობით გრძელდებოდა მუშაობა საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე.

31 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განხილული კანონპროექტების გამოქვეყნების შესახებ, მათ შორის იმ კანონპროექტისა, რომლის შემუშავებაში მონაწილეობდნენ „დას"-ი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, მრგვალი მაგიდის მონაწილე ორგანიზაციები, მწვანეთა პარტია, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, სახალხო ფრონტი.

სხდომაზე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გუმბარიძემ გააკეთა განცხადება, რომ მიმდინარე წლის 17 აგვისტოს დანიშნული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობის დამთავრებამდე არ განხორციელდება „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ" სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულებიდან გამომდინარე ღონისძიებანი, რათა ხელი არ შეეშალოს კანონპროექტების სახალხო განხილვასა და სესიის ნორმალურად ჩატარებას.

## ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა რაიონში 1 აგვისტოსათვის

| კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები | წლიური გეგმა | შესრ. პროც. |
|---|---|---|
| ახალაბასთუმანი | 1320 | 69,9 |
| ახალსოფელი | 1680 | 76,9 |
| კოლხიდა | 1060 | 72,2 |
| ახალკახათი | 853 | 78,4 |
| გრიგოლიში | 840 | 59,9 |
| ინგირი | 8130 | 60,3 |
| კახათი | 2980 | 65,1 |
| კოკი | 635 | 67,6 |
| კორცხელი | 1470 | 53,7 |
| ნაცატუ | 970 | 55,8 |
| ნარაზენი | 2690 | 67,9 |
| ოდიში | 1480 | 60,3 |
| ყულიშკარი | 1480 | 69,0 |
| ოქტომბერი | 1460 | 55,3 |
| რიყე | 1650 | 74,4 |
| რუხი „საქართველო" | 3960 | 48,3 |
| შამგონა | 945 | 65,8 |
| ჩხორია | 1420 | 62,3 |
| ტყაია | 1040 | 66,4 |
| ცაიში | 1185 | 54,7 |
| ურთა | 650 | 51,5 |
| ჭაქვინჯი | 1805 | 55,7 |
| ჭითაწყარი | 1440 | 68,0 |
| ჭკადუაში | 2000 | 47,1 |
| ჯიხაშკარი | 1050 | 60,7 |
| ორულუს რძის საწ. | 350 | 66,3 |
| საბჭოთა მეურნეობები: | | |
| აბასთუმანი | 800 | 60,7 |
| ანაკლია | 200 | 56,0 |
| განარჯიის მუხური | 150 | 60,0 |
| დიდინეძი | 310 | 51,9 |
| დარჩელი | 1500 | 61,9 |
| ზედაეწერი | 4880 | 56,2 |
| ნარაზენი | 2730 | 62,4 |
| ონარია | 2100 | 62,9 |
| ხეცერა | 2675 | 61,5 |
| ინგირი | 3730 | 59,2 |
| ჩაის ფილიალი | 255 | 58,4 |
| ორსანტია | 580 | 66,0 |
| სულ რაიონში | 62460 | 61,7 |

## იმარჯვეს მექანიზატორებმა

8180 ტონა ჩაისათვის იბრძვიან ინგირის კოლმეურნეობის მწვანე პლანტაციის მშრომელები. მიუხედავად ნაგვიანევი სეზონისა, შედეგები თვალსაჩინოა. იმარჯვეს მექანიზატორებმა, რომლებმაც მაის-ივლისის დავალება ხარისხის დაცვით გადამეტებით შეასრულეს.

ეკონომიკურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ჯ. ნადარაია, შ. გაბისკირია, ვ. გვარამია, ჯ. ჩიქობავა, ვლ. ქარჩავა, შ. კვარაცხელია ხელმძღვანელობენ. მათვე გადაეცათ ფულადი პრემიები.

მაის-ივლისში მრეწველობას ჩაბარდა 1254 ტონა ჩაის ფოთოლი.

წარმატებებია აგვისტოს თვეშიც.

## დავაჩქაროთ კურკოვანი ხილის დამზადება!

როგორც „საქსოფლდამზადების" რაიონული გაერთიანების ეკონომისტი ლეილა ბენდელიანი გვატყობინებს, გაერთიანებამ სეზონში უნდა დაამზადოს 1240 ტონა კურკოვანი ხილი. ფაქტიურად დამზადებულია 1100 ტონა, მათ შორის ქალაქად 87 ტონა.

კურკოვანი ხილის დამზადების დავალება გადამეტებით შეასრულეს: ორჯონიკიძის, ნაცატუს, ტყაიას, ჯიხაშკარის, ჭითაწყარის, ცაიშის, კახათის კოლმეურნეობებმა, ორსანტიის, ანაკლიის, დიდინეძის მეურნეობებმა.

კურკოვანი ხილის დამზადება უნდა დააჩქარონ ურთის, ინგირის, ოქტომბრის, ახალკახათის, ჭაქვინჯის, ნარაზენის, ჩხორიის და სხვა კოლმეურნეობებმა.

კურკოვანი ხილის დამზადება გრძელდება.

## ბრიგადა არენდული წესით მუშაობს

ახალსოფლის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადა, რომელსაც მზია ჯოჯუა უდგას სათავეში, შარშან მარტის მიწურულს გადავიდა არენდული წესით მუშაობაზე.

იმაზე, თუ რა მისცა ბრიგადის მეურნეობრიობის ახალ ფორმაზე გადასვლამ, მოვუსმინოთ თვითონ ბრიგადირს.

—პირველ რიგში, — გვითხრა მან, — გაიზარდა ბრიგადის წევრთა დაინტერესება და პირადი პასუხისმგებლობა. ყველა დარწმუნდა იმაში, რომ ანაზღაურება მარტო გაწეული მუშაობის მიხედვით კი არა, მიწეული შედეგების საფუძველზე ხდება. ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ ბრიგადის თითოეული წევრი ცდილობს შედეგი ნაყოფიერი იყოს. ბრიგადის წევრთა მონდომებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ეს კი ციფრებში ასე გამოიხატა. შარშან ბრიგადამ 250 ტონის მაგიერ აწარმოა 350 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობამ გეგმიური 30 ცენტნერის მაგიერ მიაღწია 37 ცენტნერს. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ყველა სახის სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების გეგმები. შრომის ნაყოფიერების ამაღლების პარალელურად გაიზარდა კაცდღეთა საზღაური და მან 12 მანეთს გადააჭარბა. განსაკუთრებით იმარჯვეს მექანიზატორებმა რევაზ, ნუგზარ და გიგლა ყუფუნიებმა. შარშან მათ გეგმიური 20 ტონის მაგიერ აწარმოეს 25 ტონა ჩაის ფოთოლი.

ეს იყო შარშან, წელს უფრო მეტყაითად შრომობენ არენდატორები. გეგმიური 250 ტონიდან უკვე მოკრეფილია 190 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. მათი გადაწყვეტილებაა წლიური გეგმა გაანაღდონ ამ დღეებში, სეზონის დამლევამდე დამატებით დაამზადონ 100 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

ბრიგადის წევრებმა გადამეტებით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების დავალება. სათაო პარკსაშრობს ჩაბარდა 161 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი.

არენდატორებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის. მიმდინარე წელს ისინი აწარმოებენ 15 ტონა სიმინდს, 14 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს და 12,5 ტონა ტუნგოს.

კვლავ ნაყოფიერად შრომობენ ბრიგადის წევრები ვ. გაბუნია, ნ. ყუფუნია, მ. კიტია, მერგოლურები ვ. ყუფუნია და ქ. ლატარია.

ნ. ჯაბუშია.

## ინფორმაცია

### ნაყოფიერი გარჯით

წარმატებით გაართვეს თავი ივლისის თვის დავალებების შესრულებას საიჯარო საწარმოო ფირმა „ენგურის" (დირექტორი ზ. გოგოხია) კოლექტივის წევრებმა.

მიწოდების გეგმა შეასრულეს ასი პროცენტით. დაგეგმილი 343 ათასი მანეთის მაგიერ გამოუშვეს 350 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. სახალხო მოხმარების საქონლის გეგმა ითვალისწინებდა 220 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას. ფაქტიურად გამოშვებულ იქნა 225 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

მოწინავეთა რიგებში კვლავ ლიმონათისა და ლუდის საამქროებია (უფროსები ზ. კვარაცხელია და ბ. შენგელია).

ნაყოფიერად იშრომეს ი. კორკელიამ, ზ. ხაბურზანიამ, ა. ფიფიამ, ნ. გელენავამ, ე. ანთიამ, ლ. ლულათავამ, ე. ლათათიამ, თ. ბუკიამ და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზუგდიდს სჭირდება მუსიკალური სასწავლებელი

ქალაქი ზუგდიდი ოდითგანვე ასრულებდა გარკვეულ ფუნქციას დასავლეთ საქართველოს და საზოგადოდ სრულიად საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა ზუგდიდის სახელმწიფო თეატრს, ისტორიულ მუზეუმს, ქალაქსა და რაიონში ფართოდ განვითარებულია განათლების ქსელი.

ომამდელ პერიოდში კი კულტურის ასეთ ცენტრებს ეკუთვნოდა ზუგდიდის სამუსიკო სასწავლებელი (ადრე ტექნიკუმად წოდებული), რომელმაც 1935-1941 წლებში იარსება და დაიხურა თავის დროზე პროფესიული და კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებული. ეს სასწავლებელი ეწეოდა არა მხოლოდ დიდ საგანმანათლებლო მუშაობას, ზრდიდა არამარტო რაიონისა და საზოგადოდ მთელი რეგიონისათვის საჭირო კადრებს, არამედ წარმოადგენდა იმ პერიოდისთვის ანგარიშგასაწევ სამუსიკო ცენტრს, რომლის ბაზაზე ეწყობოდა სისტემატურად კონცერტები, მოქმედებდა ჩასაბერი სასულე და სიმებიანი ორკესტრი.

აღნიშნულ წლებში ზუგდიდის სამუსიკო სასწავლებელში მოღვაწეობდნენ თბილისის კონსერვატორიის გამოჩენილი პროფესორ-მასწავლებლები: კომპოზიტორი შიო ბაბალაშვილი, აპოლონ დოჟვირი, მისი მეუღლე მარგარიტა მარტიროსოვა, პიანისტი გროსმანი, ხელოვნებათმცოდნე ციცაგი, ჩასაბერი საკრავების განყოფილების გამგე ი. ტიგაროვი, საგუნდო კლასის ხელმძღვანელი გ. ჭელიძე და სხვები.

ამჟამად ზუგდიდში ფუნქციონირებს სამი სკოლა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ეგრეთწოდებული სტუდიები. № 1 სამუსიკო სკოლა უზრუნველყოფილია კვალიფიციურ პედაგოგთა კადრებით. შვიდ მათგანს კი უმაღლესი განათლება აქვს.

იმის გამო, რომ რაიონსა და ქალაქში არ არის სამუსიკო სასწავლებელი, სკოლების კურსდამთავრებულთა უმეტესობა სწავლის გასაგრძელებლად სხვა ქალაქებში მიდის, რაც ბუნებრივია, იწვევს კადრების დენადობას და ახალგაზრდობის თანდათანობით მოწყვეტას მშობლიურ ქალაქთან და რაიონთან.

კეთილი შურით შევყურებთ რესპუბლიკის ქალაქებს (თელავი, გორი, ბათუმი, ქუთაისი და ა. შ.), სადაც იმართება სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალები და ეს ზეიმი ხომ ყველას სჭირდება, იქნება იგი პროფესიონალი მუსიკოსი თუ უბრალოდ მოყვარული. საწყენია, რომ ისეთ ტრადიციულ ქალაქში, როგორიც ზუგდიდია, არ არსებობს პროფესიონალ მუსიკოსთა გუნდი. ყველა ამ და სხვა პრობლემების მოწესრიგებას, რაც ადამიანთა სულიერი ყოფის ამაღლებას შეეხება, ჩვენ ვუკავშირებთ მუსიკალური სასწავლებლის აღდგენას, რომელიც მეტად საჭიროა ზუგდიდისათვის. ვფიქრობთ, ქალაქში ამჟამად მოღვაწე 6 კონსერვატორიადამთავრებული პედაგოგი, ორი კიდევ კონსერვატორიაში ეუფლება მუსიკის საიდუმლოებას, ქალაქის № 1 სამუსიკო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლებლის აღდგენისათვის სრულიად საკმარისია.

დღევანდელ პირობებში, როცა გარდაქმნის ტალღა ყველა სფეროს შეეხო და სტიმულს აძლევს თავისუფალ აზროვნებას, ხელოვნების დარგის მუშაკები მიესალმებიან ადგილობრივ ხელმძღვანელთა იმ პოზიციას, რომელიც გამოიხატება ზუგდიდში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის მცდელობაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ადამიანის სულიერი აღზრდის საქმე, რამეთუ დღევანდელმა მშფოთვარე ცხოვრებამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიჩვენა: უჭირს ქართველი ადამიანის ზნეობას, მის სულს...

მინდა წერილი დავამთავრო გენიალური გერმანელი კომპოზიტორის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის შემდეგი სიტყვებით: „ხელოვნების გარეშე ბუნებას შეუძლია ადამიანი ბარბაროსად აქციოს".

**შ. სიჭინავა,**
№ 1 სამუსიკო სკოლის პედაგოგი, კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

რედაქციისაგან: საკითხი, რომელიც პედაგოგმა შ. სიჭინავამ წამოჭრა, ჩვენი დღევანდელი ყოფისათვის ძალზე აქტუალურია მართლაც, ისეთი მდიდარი კულტურისა და წარსულის ქალაქს როგორიც ზუგდიდია, რატომ არ უნდა ჰქონდეს მუსიკალური სასწავლებელი. იმდენად დიდია ჩვენში ასეთი ტიპის სასწავლებლის აუცილებლად არსებობის ფაქტორი, რომ იმედია, იგი სათანადო ორგანოების მსჯელობის საგნად იქცევა და ბოლოსდაბოლოს მოგვეცემა საშუალება ჩვენმა შვილებმა მუსიკალური განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღონ.

**წერილი რედაქციას**

# გეგმას კორექტირება უნდა გაუკეთდეს

გაზეთ „ოდიშის" მიმდინარე წლის 24 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ქალაქის სტატისტიკური განყოფილების მასალები ქალაქის სოციალ-ეკონომიკური განვითარების 6 თვის შედეგების შესახებ. სხვა სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად ამ ცნობის ერთ ერთ გრაფაში არის № 12 სამშენებლო ტრესტის № 3 სამმართველო, აქვეა მშენებლობის ნახევარი წლის გეგმის შესრულების მაჩვენებელთა ცხრილი, სადაც ნაჩვენებია, რომ № 3 სამშენებლო სამმართველომ მშენებლობის გეგმა შეასრულა 43,5 პროცენტით, საკუთარი ძალებით 41 პროცენტით.

ეს ციფრები არასწორია, მაგრამ ამაში ჩვენ ვერავის ვერ დავადანაშაულებთ. მიზეზი ისევ ჩვენი ვართ, რომ დროზე არ ვიზრუნეთ მშენებლობის გეგმაში დაშვებული ცვლილებების დროული კორექტირებისათვის. ქალაქის სტატისტიკურმა განყოფილებამ კი პირვანდელი გეგმის კვალობაზე გაიანგარიშა ნახევარი წლის მონაცემები.

მკითხველი რომ საქმის კურსში იყოს, მინდა მოგცეთ შემდეგი სახის განმარტება.

წლის დასაწყისში, როცა მშენებარე ქარხანა „ვექტორი" „მედპლასტის" ქარხნად გადაკეთდა, გადაწყდა მშენებლობა გაგრძელებული ყოფილიყო რაც შეიძლება ჩქარი ტემპით. მშენებლობის წლიური გეგმა განისაზღვრა 9 მილიონ 546 ათასი მანეთის სამუშაოთა მოცულობით.

შემდეგში გამოირკვა, რომ „მედპლასტის" მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოთა მოცულობა არ იყო სახელმწიფო დაკვეთით, რის გამოც ჩვენთვის არ იყო გამოყოფილი საჭირო მასალები და კონსტრუქციები. ამის გამო ზემდგომმა ორგანოებმა სამმართველოს გეგმად დაუმტკიცა 5 მილიონ 55 ათასი მანეთი. მათ შორის საკუთარი ძალებით 4 მილიონ 676 ათასი მანეთი. ასე რომ თავიდან დაშვებულ გეგმასა და ფაქტიურ გეგმას შორის სხვაობა 4 მილიონს სჭარბობს. ქალაქის სტატისტიკურ განყოფილებაში კი პირვანდელი ციფრი დარჩა ძალაში და ნახევარი წლის გეგმის გაანგარიშება ამ ციფრის კვალობაზე გაკეთდა. ამან კი ძალზე დაბლა დასწია ნახევარი წლის გეგმის მაჩვენებელი.

ჩვენმა კოლექტივმა მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა 78 პროცენტით შეასრულა, საკუთარი ძალებით კი 98 პროცენტით. მართალია ეს ვერაფერი სახარბიელო მაჩვენებელია მაგრამ გაზეთში გამოქვეყნებულ მონაცემებსა და ამ ციფრებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია.

**თ. ძიბუა,**
№ 8 სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

**აკაკი წერეთელი — 150**

# ერთი მოთხრობის კეთილი ექო

ჩვენს სახიქადულო მგოსანს აკაკი წერეთელს დიდებულ პოემებთან, ლექსებთან და პუბლიცისტურ წერილებთან ერთად შესანიშნავი მოთხრობებიც უწერია. თავისი მადლცხებული კალმით იგი ამუშავებდა იმ თემებს, რაც მისი თანამედროვე ცხოვრების უპირველეს სატკივარს შეადგენდა.

აღნიშნულ პროზაულ ქმნილებებში მკითხველი მთელი სისავსით, აკაკისებური მომხიბვლელობით შეიგრძნობდა მწერლის გონებამახვილობას, ცხოვრების ეულ სიბრძნეს, მხურვალე მამულიშვილურ გულის ფეთქვას და მხატვრული აზროვნების შესაშურ ალღოს. სულგანათლებულ მწერალს აქვს ერთი მინიატურული მოთხრობა სახელწოდებით „ლეგენდური", ამ მცირეფორმატიან სიუჟეტშიც მწერალი ერის საჭირბოროტო საკითხს ეხება. ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო რამეც შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს მასში გადმოცემული ამბავი, მაგრამ საკმარისია სათქმელს გულის ძირამდე ჩაჰყვე და გაითავისო, რომ დღევანდელობასთან მისი ცოცხალი კავშირის მადლიც შეიგრძნო.

„ღმერთმა რომ იობი განსაცდელში ჩააგდო, ყოველგვარი ჭირი მიაყენა კარზე, ამ სიტყვებით იწყება მოთხრობა. დაუქცია სახლ-კარი, გაუნადგურა ჭირნახული, გადაუშენა ჯოგები და ესეც რომ აღარ აკმარა, დაასნეულა-დააწყლულა და მატლებიც დაახვია. ამ დროს შეუჩნდა ეშმაკი, მაგრამ ძვირი ღვთისა ვერ ათქმევინა: „ყოველივე მისი ნებააო" ამბობდა.

ნახა ღმერთმა მისი მორჩილება და ერთიორად დაუბრუნა ყოველგვარი დანაკლისი. აკურთხა მადლით და მისი მოთმინება სამაგალითოდ დაუდვა კაცობრიობას. მისი გვამიდან გამოსული ჭია-მატლებიც მადლად გადააქცია და დაურიგა სასარგებლოდ ქვეყნიერებას. იმათთაგანი ორი საქართველოსაც ერგო: ფუტკარი და აბრეშუმის ჭია. მერე მწერალი სათითაოდ მათ ღირსებებზე უყვება მკითხველს. სიყვარულით აღწერს ფუტკრის გულმოდგინებას, გაკვირვებულია იმით, თუ როგორ დაეძებს იგი იობის ცრემლებს და რომელი ყვავილის გულშიაც კი მიაგნებს, ამოსწუწნის, რომ თაფლი და სანთელი აქციოს.

მადლიერების გრძნობით აღსავსე სიტყვებს უძღვნის მწერალი აბრეშუმის ჭიასაც. იგი წერს: „—მეორე —უფრო მშვიდი, ჩუმი და გულჩახვეულია. რამდენჯერმე იძრობს ტყავს, რომ ამოხვეწოს აბრეშუმი ტიტველთ შესამოსადო"...

ასეთ პასაჟებს მოყვება მწერლის ნოსტალგია წარსულ დროებაზე: ძველად, საქართველოში, ყოველ ოჯახში იჩენდნენ ერთსაც და მეორესაც. სადაც არ იხარებდა, ის ოჯახი ნაძრახი იყო: უთუოდ ბოროტი და უკულმართი რამ შეუტანიათ ოჯახშიო!"

ამისთანა ხმას ყველა ერიდებოდა და მიტომაც ცდილობდნენ, რომ ფუტკარიც გაეშენებიათ და აბრეშუმიც მოეყვანათ და ღმერთიც ხელს უმართავდათ. დღეს კი ჩვენში ძველებურად ვერც ერთი და ვეღარც მეორე ვეღარ ხარობს და რა უნდა ვქნათ, რომ გამოვაბრუნოთ?

აი, რა სტკივა მგოსანს. მისი სახმილი დღესაც წვავს ჩვენს თანამედროვე, გონიერ ქართველს. ამ სიტყვების წაკითხვისას თვალწინ წარმოგვიდგება თითო-ოროლა ენთუზიასტი მეურნე, რომელიც წინაპართა ალღოს კვალში ჩადგომია და ტრადიციულ დარგებს გასაქრობად არ ელევა. ქება ეკუთვნით ყველა იმათ, ვინც თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა განავითარეს. უსამართლობა იქნება კეთილი სიტყვით არ მოიგონო ახლახან გარდაცვლილი აგრონომი კარლო ფაჟავა, რომელმაც მეაბრეშუმეობის განვითარებას დიდი ამაგი დასდო ჩვენს რაიონში და ძირძველი დარგისადმი ფანატიკური სიყვარული გვიანდერძა.

ეს მოთხრობა დღევანდელ ქართულ სოფელს, მის სალხენ-სატკივარს ეხმიანება. ვუთმობთ კუთვნილ ყურადღებას ფუტკრისა და აბრეშუმის ჭიის მოშენებას? რა თქმა უნდა არა. და ამიტომაც ჟღერს კეთილ შეგონებად და გაფრთხილებად დიდი აკაკის სიტყვები: — არ უნდა დავივიწყოთ მამა-პაპათა ღვაწლი, უნდა მივბაძოთ მათ საქციელს!...

**ზ. ცხონდია.**

# ფლორის შენარჩუნებით

„კოლხიდმშენის" № 8 მოძრავ-მექანიზირებული კოლონის (უფროსი შ. ბიგვავა), კოლექტივი კოლხეთის დაბლობზე ფლორის (ტყე-ბუჩქების) შენარჩუნებით აწარმოებს სამელიორაციო სამუშაოებს.

კოლონამ ექვს თვეში 2 მილიონ 578 ათას მანეთის სამუშაოს ნაცვლად შეასრულა 2 მილიონ 589 ათასი მანეთის სამუშაო, რაც დავალების 100,4 პროცენტს შეადგენს. ხობის ზონაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 133 ჰექტარი, ზუგდიდში 290 ჰექტარი.

წლის ბოლომდე 60 ჰექტარზე სამელიორაციო სამუშაოები იწარმოებს კახათში, 280-ზე ცაიშში და ა. შ.

მურად პანტურია

# გზა

## (ნაწყვეტი ვრცელი მოთხრობიდან „რომელმან აღაშენა სახლი...")

ახალგაზრდა მწერალს, ჟურნალ „ნიანგის" პრემიის ლაურეატის მურად პანტურიას იუმორისტულ მოთხრობებს ჩვენი გაზეთის მკითხველებიც იცნობენ.

ამჯერად გთავაზობთ მის „სერიოზულ" პროზას—ნაწყვეტს ვრცელი მოთხრობიდან „რომელმან აღაშენა სახლი...."

მ. პანტურიას პირველი მოთხრობა გამოქვეყნდა 1977 წელს ჟურნალ „ნობათში", შემდგომ მოთხრობები დაიბეჭდა ალმანახ „ეგრისსა" და ჟურნალ „ცისკარში".

ახალგაზრდა მწერალი ცხოვრობს ქალაქ ჯვარში. იგი გაზეთ „ენგურის ჩირაღდნის" რედაქტორია. პარალელურად თანამშრომლობს საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების ალმანახ „ენგურის" რედაქციასთან.

მოთხრობას, რომლის ნაწყვეტსაც გთავაზობთ, სულ მალე იხილავენ მკითხველები ჟურნალ „ცისკარში".

როცა პირველი კაცი დაიღუპა გზის მშენებლობაზე, სოფელს ტკივილისგან და თანაგრძნობისგან კი არა, უფრო მოულოდნელობისაგან ჩაუვარდა ენა მუცელში. რამდენიმე საათით მუშაობა ყველგან შეწყდა. ხალხი შემთხვევის ადგილისკენ გარბოდა. სკოლაში მეცადინეობა ჩაიშალა. სახლები და ეზოები დაცარიელდა. დიდ-პატარიანად ყველა აქ მოგროვდა. მილიციელებს, საბჭოსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს, მშენებლობის ხელმძღვანელებს ცოტა ჯაფა როდი დასჭირდათ, რათა ხალხს როგორმე უკან დაეხია, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო კლდის ქანების კვლავ ჩამოწოლა. ხალხი უსიტყვოდ, მექანიკურადღა უძალიანდებოდა მათ, რადგან კლდის ჩამოწოლილ ნაწილს, რომელსაც გზის კუთხე მთლიანად მოესწორებინა, რაღაც ანდამატური, მაგნიტური ძალა მისცემოდა: ყველას თავისკენ იზიდავდა, თავისკენ ეწეოდა გაუთვითცნობიერებელი კრძალვითა და შიშით. თითქოს აუცილებელი იყო, ყველას საკუთარი თვალით ენახა ის ადგილი, რომლის ქვეშაც, როგორც ამბობდნენ (ეს ერთგვარად დაუჯერებელიც ჩანდა), ადამიანი იყო ჩამარხული. მერე ხმისამოუღებლად, მდუმარედ, დაბნეული სახეებით და გაურკვეველი მოლოდინით მისჩერებოდნენ, თუ როგორ ფრთხილად გადაჰქონდა ტრაქტორს ჩამონაშალი და ხევში ყრიდა, მერე როგორი ხელის კანკალით მუშაობდნენ მუშები. მათ სოფლის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე იროდიონ ნაჭყებია წაეშველა: ერთ-ერთ მუშას, რომელმაც წამით შეისვენა, ნიჩაბი ჩამოართვა და ისიც მათსავით ფრთხილად შეუდგა ჩამონაშალისაგან გზის გადაწმენდას. ეს რომ დაინახეს, სოფლელი კაცები და ბიჭები თითო-თითოდ გამოეყვნენ ხალხს და თანდათანობით შეენაცვლნენ მუშებს. ყველანი უხმოდ მუშაობდნენ. ხანდახან თუ გაისმოდა მშენებლობის რომელიმე ხელმძღვანელის თუ იროდიონ ნაჭყებიას მოკლე-მოკლე მითითება...

ხალხმა მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, მხოლოდ მაშინ ამოიგმინა, როცა საშინლად დასახიჩრებული ადამიანის გვამი შემთხვევის ადგილიდან მოშორებით უცბად საიდანღაც გაჩენილ ბრეზენტზე დაასვენეს.

—ვაი, შენს ოჯახს, უბედურო!.. —ამოიოხრა ვიღაცამ, მაგრამ ეს ამოოხვრა მაშინ ისე გაისმა,, თითქოს აქ, ამ ხეობაში, კიდევ ერთი ამონალი აეფეთქებინოთ.

დასახიჩრებული სხეული საშინელი სანახავი იყო. ვერავინ უსწორებდა თვალს სხეულზე ჯერ კიდევ შეუმხმარ და ჭრილობებიდან მჟონავ სისხლს. ამ ბუნების წიაღში, ამ ულამაზეს ხეობაში (ქვევიდან მდინარის დინების ხმა ფოთლების შრიალივით ისმოდა), ამ მთებსა და ხეებს შორის, ამ ბალახებსა და ყვავილებს შორის, ამ ჩანჩქერსა და წყაროებს შორის, ამ ზღაპრულად გამოქანდაკებულ კლდეებსა და ლოდებს შორის—აქ, სადაც ყველაფერი ენით გამოუთქმელ ჰარმონიას ქმნიდა და სადაც ყველაფერი გონებამიუწვდომელ კანონზომიერებას ემორჩილებოდა, ეს ყველაფერი გაუგებარ, ამოუხსნელ ბრალდებად ჩანდა. გაუნძრევლად მდგარი ხალხი ამას ინსტინქტით ხვდებოდა და კიდევ რაღაც გაურკვეველი მოლოდინით შეპყრობილი ამ გაურკვეველი მოლოდინისაგან თითქოს სუნთქვა ეხუთებოდათ.

და უცბად ყველამ შვებით ამოისუნთქა, თითქოს თავდავიწყებიდან გამოერკვა ხალხი: ყველამ თითქმის ერთდროულად უტია გზა და მათ შორის ჩვეული დინჯი ნაბიჯებით თავაწეული და (რაც მთავარია!) საოცრად თავდაჯერებული, მტკიცე შინაგანი ღირსების გამომხატველი იერით მომავალი მედეა ბებია გამოჩნდა. და, თუმცა ვერც ერთი ვერ აგიხსნიდათ, ვერც ერთი გეტყოდათ, რა იყო ეს: სადღაც გაქრა უმწეობის გრძნობა და თითოეულმა ცალ-ცალკე, გაუთვითცნობიერებლად, თავისდაუნებურად იგრძნო, რომ მარტო არ იყო! მერე ეს განცდა თითქოს უფრო დაიხვეწა, უფრო გამოიკვეთა და იმედად იქცა, წელგამართულ, თავდაჯერებულ, დინჯი ნაბიჯებით მოარულ იმედად, რომელიც ეს-ეს არის ხალხის წიაღიდან გამოვიდა და მიეახლა ოდნავ ამაღლებულ ადგილას ბრეზენტზე დასვენებულ სასოწარკვეთას... არა, რა თქმა უნდა, სასწაული არ მოხდებოდა!... ეს ყველამ უწყოდა. მაგრამ ისიც ყველამ იცოდა, რომ აწი ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც წესი და რიგი იყო ხოლმე ასეთ დროს.—„ასეთი დრო"—კი ამ საბედისწერო აფეთქებამდე არ ყოფილიყო ჯერ, უფრო სწორად —იმათ, ვინც ამჟამინდელ სოფელში ცხოვრობდა, არ გამოეცადათ. ამიტომ იყო, რომ დაიბნა ყველა, ამიტომ იყო, —რომ ვერავინ—თვით ყველაზე უშიშარმა და ბევრის ამტანმა რკინისგულიანმა მამაკაცებმაც კი ვერ გაბედეს ინიციატივის თავის თავზე აღება.

მედეა ბებიას კი, რომელსაც ამ გაჭირვების გამო შინაგანად ერთ მუშტად გაერთიანებულ სოფლელთა ათასი წყვილი თვალი მისჩერებოდა, უკვე ამოეღო სუფთა ცხვირსახოცი და ტრაგიკულად დაღუპულის დასახიჩრებული სახისათვის დაეფარებინა. მერე ფეხები გაუსწორა, მკლავები გულზე დაუკრიფა... რამდენადმე შეიძლებოდა, ტანსაცმელი, რომელიც ზედ ეცვა მკვდარს, წესრიგში მოიყვანა. სოფელს რაღაცნაირი დანაშაულის გრძნობა ტანჯავდა. და ეს თითქოს იმიტომ, რომ ამ მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ ხიფათს ასე მოუმზადებელი, უმწეო შეხვდა და როდესაც მედეა ბებიამ იმ ბრეზენტის შუაზე გახევა მოინდომა, რომლის მეორე ნახევარზეც მკვდარი ესვენა და ვერ მოერია, და როდესაც მოხედა სოფლის მამაკაცებს, ისინი უმალ, თითქოს ჩადენილი უნებლიე დანაშაულის გამოსყიდვა უნდათო, ყველანი ერთბაშად დაიძრნენ... მერე ის ბრეზენტი გაშალეს და მკვდარს თავიდან ფეხამდე გადააფარეს.

ახლა კი უკვე მკვდარი ნამდვილ, უფრო სწორად, ჩვეულებრივ მკვდარს ჰგავდა, სოფელიც თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ წინ მიცვალებული ესვენა და წესისამებრ მოთქმას შეუდგა. ქალები (ალბათ ინსტინქტურად, ჩვეულების მიხედვით) ბრეზენტგადაფარებული დაღუპული მუშის ირგვლივ ნახევარწრედ შეიკრიბნენ და ისეთი მოთქმით განაგრძეს გულისტკივილის გამოხატვა, თითქოს მათ წინ სოფლის საუკეთესო შვილი, სოფლის მომავალი ესვენა, არადა იმ მომენტში სოფლელთაგან თითქმის არავინ იცოდა, სადაური იყო ის და არც არავის უკითხავს ტომით, მოდგმით უცხო და ვინ იცის, რა მიზნით, რა ოცნებით გამო აქ გზის მშენებლობაზე ჩამოსული „რუსის" ავან-ჩავანი (იმ დროს სოფელი ჩამოსულ ყველა არაადგილობრივ მკვიდრს, რა ეროვნებისა უნდა ყოფილიყო, რატომღაც „რუსს" ეძახდა, ხოლო თუ იგი შავგრემანი იქნებოდა ან ყანგისფერი გადაკრავდა— „თათარს").— აქ, ამ მარადიული თოვლის შარავანდედით თავწაკრული მთების საუფლოში, ამ საამოდ მოშრიალე მდინარის ხეობაში, ამ ლურჯი ცის თაღის ქვეშ, ამ ზღაპრული ბუნების წიაღში—ამ სამოთხეში განა ყველა ამ ბუნების, ამ სამოთხის შვილი არ იყო?!.. კაცებმა ჯიბეზე იკრეს ხელი და სიგარეტები ამოაძვრინეს. მერე თანდათანობით გარს შემოერტყნენ ერთ-ერთ ახალგაზრდა მუშას, რომელიც ართოლებული ხმით, თითქმის ტირილით, უყვებოდა კლდის ჩამონგრევის ეპიზოდს. ახალგაზრდა მუშა აქაური, ამ სოფლის მკვიდრი იყო და მწუხარების გარდა ისიც უბორკავდა ენას, რომ ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მასწავლებლის წინ იდგა (როგორც მაშინ, ბავშვობაში) და მოუმზადებელი უყვებოდა აუცილებელ საზეპირო ადგილს წიგნიდან. მალიმალ ჩერდებოდა, ნერწყვს ძლივსძლივობით ყლაპავდა, სიტყვებს იმეორებდა, ჭუჭყიანი ხელისგულით შუბლიდან ოფლს იწმენდდა და ისედაც ტალახით მოსვრილ სახეს უარესად ითხუპნიდა.

* * *

დღევანდელ ქალაქში ყველას, ვისაც იმ დროს ოდნავი მახსოვრობის უნარი გაჩნდა, თითქმის დაწვრილებით შეეძლო მოეთხრო, თუ როგორი პატივი სცა სოფელმა, როგორც მიტინგზე გამოსულნი ამბობდნენ—ამ სოფლის მომავლისათვის, მისი აღმშენებლობისათვის დაღუპული მუშის ხსოვნას. მაშინ არ იყო აშენებული მშენებელთა კულტურის სასახლე, რომლის შესახებაც შემდეგში დედაქალაქიდან მშენებლობაზე სტუმრად ჩამოსულმა სახალხო არტისტმა გულწრფელად თქვა: „ნეტავ, ასეთ შენობაში მოათავსა ჩვენი თეატრი და მეტს არას ვინატრებდი რაო?!"—ამიტომ, მიცვალებული სოფლის ოცდაათიან წლებში აშენებულ, ოდნავ გვერდზე მოქცეულ ფიცრულ კლუბში დაასვენეს. არ ვიცი, მშენებლობის ხელმძღვანელთა გამოუცდელობის გამო (მშენებლობა ხომ ის-ის იყო იწყებოდა) თუ იმიტომ, რომ მიცვალებული ადგილობრივი კოლმეურნეობის სახსრებით აშენებულ კლუბში დაასვენეს, უნებურად ინიციატივას სოფლელები დაეუფლნენ, ფაქტობრივად ისინი იქცნენ მიცვალებულის უპირველეს ჭირისუფლებად. როგორც ასეთ დროს იცოდნენ ხოლმე, სოფლელებმა თავიანთი სახლებიდან მოიტანეს ხალიჩები, ფარდები და ისე მორთეს კლუბის დარბაზი, რომ შიგნიდან ის სულთნის სასახლე ეგონებოდა კაცს. სამი დღე ესვენა მიცვალებული კლუბში, სამი დღე, სანამ ნამდვილ ჭირისუფლებს მიაწვდიდნენ ხმას და ჩამოვიდოდნენ. სამი დღის განმავლობაში სოფელი თავისი ადათისა და წესის მიხედვით პატრონობდა, ღამეს უთევდა მას.

წასვენების დღეს, როგორც გასვენებაზე ხდება ხოლმე, კლუბთან თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. მოვიდნენ, რა თქმა უნდა, მშენებლებიც. რაიონის ცენტრიდანაც ჩამოვიდნენ. ადგილობრივი სკოლის დირექტორმა და შინაბერა პიონერხელმძღვანელმა კლუბის შესასვლელთან პიონერები დააყენეს. პიონერები მიუძღოდნენ წინ კუბოს, როცა მას ცენტრალურ სამანქანო გზისკენ მიასვენებდნენ. რამდენიმე მათგანს ხელში ორი თითქმის ერთნაირი და ერთი ზომის გვირგვინი ეჭირა. ერთი მშენებლებისაგან იყო, ხოლო მეორე —სოფლის თავკაცების მიერ სოფლის სახელით მოტანილი. შინაბერა პიონერხელმძღვანელს ცოტა ჯაფა როდი დაადგა, რათა ბავშვებს ერთმანეთისთვის არ გაესწროთ და გვირგვინები გვერდიგვერდ ეტარებინათ. სოფლის ქცევით გულაჩუყებული და მადლიერი ჭირისუფლები დაბნეული ტრიალებდნენ, ხელს ართმევდნენ ვინც მოხვდებოდათ და მადლობის სიტყვებს გაუგებრად ლუღლუღებდნენ. ვინ იცის, რამდენ ხანს იტრიალებდნენ, რომ ვიღაცას არ მოეფიქრებინა და სათითაოდ არ ჩაესხა ისინი მანქანაში. „მსოფლიო მოვლილი მაქვს, მაგრამ ასეთი დიდებული ხალხი არსად შემხვედრიაო!"—იძახდა ერთ-ერთი ჩამოსულთაგანი და სათვალეს და ცრემლებს ერთად იწმენდდა.

* * *

და ისე ჩანდა, თითქოს სოფელმა ამჯერადაც ღირსეულად გაუძლო განსაცდელს, რამდენადაც ამჯერადაც ღირსეულად მოიხადა თავისი მამაპაპური ვალი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა—თავისი არსებობის წინაშე —კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სუვერენული... თავისთავადი თვისება თუ ხასიათი და ამ ხასიათის არსებობის უფლებაც, რადგან ის მადლიერი შეძახილი —„მთელი მსოფლიო შემოვლილი მაქვსო..." რაც უნდა ყოფილიყო და ვინც უნდა ყოფილიყო, გარედან შემყურე კაცის აღიარება—დადასტურება იყო. თანაც კაცისა, რომელიც ისეთ დღეში იყო, რომ არ უნდა ჰქონოდა არც ამ წამოძახილის სურვილი და არც ამ წამოძახილის თავი. სწორედ ეს იყო მთავარი, თორემ არ ჰქონდა მნიშვნელობა შორიდან იქნებოდა მოსული თუ აგერ— ყურის ძირიდან, რუსი იქნებოდა ის თუ თათარი, ამერიკელი თუ ჩინელი, გერმანელი თუ ირანელი და სხვა.

მერე ყველანი თავ-თავიანთ სახლებში მიბრუნდნენ, ყველანი თავ-თავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ და ერთი საათის შემდეგ ვინმე რომ შემოსულიყო სოფელში, თუ არა ეტყოდნენ რა, ყოველი კუთხე-კუნჭული რომ დაევლო, ვერსად ვერ იპოვიდა მომხდარი უბედურების მცირეოდენ კვალსაც კი: სოფლის სასაფლაოზე არ გაჩენილა ახალი საფლავი, ვინმეს სახლისათვის არ გაუკრავს შავი ნაჭერი და არც არავის ჩაუცვამს თალხი.

და მაინც, რაღაც ჩაუწვდომელი, ტკივილნარევი განცდით იყო დამძიმებული სოფელი: კაცის გარდაცვალება, ცხადია, მუდამ დიდი დანაკლისია ხოლმე სოფლისათვის და ამჯერადაც, თუ ვინმე არა, არ შეიძლებოდა, რაღაცა მაინც არ დაკლებოდა. ამას ინსტინქტით გრძნობდა სოფელი, როგორც ნებისმიერი, ოდნავ გონიერი მაინც, ცოცხალი არსება, თორემ ფიქრითა და განსჯით არავის უფიქრია და განუსჯია, რომ უცბად ვინმეს, თუნდაც —სოფლის ყველაზე საუკეთესო და ყველაზე გონიერ შვილებს, იმ დროს ალბათ ვერას მიხვდებოდნენ რა.

მაგრამ დაკლება ხომ ყოველთვის ნიშნავს რამე ახლის გაჩენას, რამე ახლით შევსებას, თუნდაც სიცარიელითა, უბრალოდ რომ ვთქვათ, თუნდაც იმ ადგილის სიცარიელითა, რომელიც მანამდე ეჭირა აქ იმ კაცს, რომელიც მოვიდა, და რომელმაც დაიკავა ის, რასაც შემოუშვეს და მიიღეს. ამ რაღაცის გაჩენასაც ინსტინქტით გრძნობდა ყველა და, ვინ იცის, რა დროს უნდა გაევლო, რომ სოფელს, უფრო ზუსტად—სოფელში მცხოვრებ ერთ კაცს მაინც გაეცნობიერებინა, მიმხვდარიყო ყოველივეს.

მე რომ მოვედი ამ სოფელში (უფრო სწორად—დაბაში, რადგან სოფელი უკვე დაბად აღინიშნებოდა თვით ყველაზე მცირე ზომის რუკაზეც კი), მაშინ თურმე ის ახალგაჩენილი რაღაცა, რაც ერთდროულად ნიშნავდა აგრეთვე რაღაცის დაკარგვასა და ასევე რაღაცის შეძენასაც, იმდენად გაზრდილიყო, იმდენად დაკონკრეტებულიყო და მიეღო თავისი გამოკვეთილი სახე, რომ თითქოსდა მისი ხელით შეხებაც კი შეიძლებოდა, ის ხავსივით მოსდებოდა ყოველივეს —ცოცხალსა და უსულოს, ყოველ კუთხე-კუნჭულს, ყოველ კენჭსა და ბალახის ღეროს, მისი სუნთქვა, მისი სუნი იგრძნობოდა თურმე ყოველ ნაბიჯზე...

და თუ მაშინ ვერაფერი ვიგრძენი, ეს ალბათ იმიტომ; რომ რაც უნდა ყოფილიყო, შორიდან ვიყავი ჩამოსული (თუ მობრუნებული) და ყველაფერი, რაც დამხვდა, ჩემთვის ახალი იყო, ახალი და განსაკუთრებული (სენტიმენტალური და რომანტიკული —როგორც მაშინ ვეძახდი, მართლაც სენტიმენტალურ-რომანტიკულ განწყობაზე მყოფი).

(დასასრული მეოთხე გვერდზე)

ქრონიკა

# ისევ საკაბელო ტელევიზიის შესახებ

## რედაქციას უპასუხებს მოსკოვის საწარმოო—კოოპერაციული დაწესებულება „კომპიუტერის" ზუგდიდის ფილიალის თავმჯდომარე თ. დ ა რ ა ს ე ლ ი ა

მიმდინარე წლის 21 ივლისს გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნდა წერილი—შეკითხვა „სად არის საკაბელო ტელევიზია?", სადაც აბონენტები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საკაბელო ტელევიზიის მისამართით. დაინტერესებულ პირებს ვაცნობებთ, რომ ტელევიზიის მუშაობის შეფერხება მართლაც მისმა გაძარცვამ გამოიწვია. არაა გამორიცხული, რომ გაქურდვა შეგნებული სვლა იყო საკაბელო ტელევიზიის მუშაობის ჩასაგდებად. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დატაცებული აპარატურის გამოყენებას არასპეციალისტები ვერ შეძლებენ. გამოძიება თავის სიტყვას იტყვის.

დღეისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, რაც აუცილებელია ხარისხიანი ჩვენებისათვის უკვე აღდგენილია და საკაბელო სისტემა ისევ განაახლებს მუშაობას. უკვე დამთავრდა სარელეო ხაზის მონტაჟი სამი პროგრამით, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება ზუგდიდის საკაბელო ტელევიზიის დაკავშირება საქართველოს ტელევიზიასთან. გარდა ამისა, სარელეო ხაზი იძლევა საშუალებას საკაბელო სისტემას მიეწოდოს მაღალი ხარისხის პროგრამები.

მიმდინარე წლის 5 აგვისტოდან საკაბელო ტელევიზია განაახლებს მუშაობას. ტელემაყურებლები მიიღებენ მაღალი ხარისხის სამ პროგრამას: მოსკოვის პირველი და მეორე და თბილისის პირველ პროგრამას. ამასთანავე ყოველი კვირის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 19 საათიდან 22 საათამდე მეექვსე არხით ნაჩვენები იქნება ვიდეოფილმები და ვიდეოკონცერტები. რაც შეეხება სარედაქციო განყოფილების შექმნას, ეს აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა, რადგანაც ამ გზით შესაძლებელი გახდება აისახოს ყველაფერი ის, რაც ჩვენი ქალაქისა და რაიონის ისტორიას ქმნის, მაგრამ სრულფასოვანი სარედაქციო განყოფილების შექმნა დაკავშირებულია ფინანსებთან და იგი დახმარებას ითხოვს.

# გ ზ ა

(დასასრული)

და, რა თქმა უნდა, კაცმა რომ თქვას, თავის მხრივ სოფელსაც გააჩნდა გამამართლებელი საბუთი, აი თუნდაც უძველეს ზეპირსიტყვიერებაში—ამბავი ხელმწიფის ცოლისა, რომელსაც ყოველდღე აჰყავდა ახ ალდაბადებული ხბო კოშკში და ჩამოყავდა მანამ, სანამ ის უზარმაზარ ხარად არ გადაიქცა და ამით არ განაცვიფრა თვით ყოვლისშემძლე, ძლიერი და საოცრად მარჯვე ხელმწიფეც კი; ანდა კიდევ—მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი მითი (თუ სინამდვილე) ფრთხილ და საოცრად ეჭვიან მითრიდატეს შესახებ, რომელიც მცირე-მცირე დოზებით ღებულობდა თურმე საწამლავს...

ის ახალიც ისე უმნიშვნელო და მცირე იყო ალბათ თავიდან, თან ისე ნელი-ნელ იზრდებოდა, რომ მისი შემჩნევა, როგორც ჩანს, შეუძლებელი იყო თავიდან. და ასევე შეუძლებელი იყო მისი შემჩნევა მერეც, როცა წამოიზარდა, გაიზარდა, რადგან უკვე ყველა შეჩვეოდა და უბრალოდ, არავის მიაჩნდა იგი უცხოდ, გასაკვირად და ზედმეტად. რაღაც განსაკუთრებული რამ. ან თუნდაც სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ როგორმე გამოფხიზლებულიყო ხალხი, გამორკვეულიყო და, თუ კვლავ გააჩნდა თავისთავადობის პრეტენზია, შესაბამისი გადაწყვეტილებაც უნდა მიეღო.

# მადლობელი ვარ

უკრაინაში დავიბადე. სამამულო ომის წლებში მცირეწლოვანი მოვხვდი საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში. აქვე გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. აღვზარდე ოთხი შვილი, ვმუშაობდი კოლმეურნეობაში მეჩაიედ.

ამჟამად პენსიონერი, ვცხოვრობ უფროსი ვაჟის ოჯახში და ვზრდი მის სამ ობოლ შვილს, რა დასამალია და ძალიან მიჭირდა ეკონომიურად. დახმარებისთვის მივმართე რუხის კოლმეურნეობის გამგეობას. მათაც ყურადღება გამოიჩინეს ჩვენი ოჯახისადმი და ფულადი დახმარება გაგვიწიეს.

ღმერთმა გვიმრავლოს კეთილი ადამიანები.

**თამარ ოვსიანიკოვა-ლაგვილავა.**

# სახელს ღირსეულად შ ე ი ნ ა ხ ა ვ ე ნ

## შრომითი ტრადიციების კვალში

სოფელ ოქტომბერში ვინ არ იცნობს რაისა და ანდრო მაქაცარიების ოჯახს. შრომისმოყვარეობა და სინდის-ნამუსი მათ ადრეული წლებიდანვე მოსდევდათ. 30-იან წლებში სრულიად ახალგაზრდები ალალად ღვრიდნენ ოფლს ჩაის, თუ ციტრუსის პლანტაციების გასაშენებლად.

ჩაი ახალგაშენებული იყო, მაგრამ კრეფა არ ვიცოდითო, იგონებდა ხოლმე ბატონი ანდრო. მაშინდელი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მთავარი სპეციალისტები მამია დოჩია და ვარლამ ჩიქავა გვასწავლიდნენო კრეფას.

თანდათან მრავლდებოდა სიკეთით სავსე ოჯახი. ოთხი შვილი აღზარდეს. ყოველი მათგანი ჩინებული სპეციალისტია და სასარგებლო სამსახურს უწევენ საზოგადოებას.

ორიოდე სიტყვით იმ ორ შვილზე შევჩერდები, რომლებიც მშობლიურ ზუგდიდში საქმიანობენ. გივი მაქაცარიამ ჩეცერის საბჭოთ მეურნეობაში მიიღო პირველი წრთობა, როგორც აგრონომმა. ამჟამად იგი თავის სოფელში მოღვაწეობს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. მისი ინიციატივით ბევრი რამ გაკეთდა ოქტომბერში, დადებითად გადაწყდა მთელი რიგი სოციალური საკითხები. იგი პატივისცემით ეკიდება ომისა და შრომის ვეტერანებს, ცდილობს ყურადღებით გული გაუთბოს ხანდაზმულ ადამიანებს.

სამ შვილს ზრდიან გივი და აზა მაქაცარიები. შრომისა და ადამიანების სიყვარულს უნერგავენ მათ.

ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილედ მუშაობს ომარ მაქაცარია. ისიც შესანიშნავი ოჯახის პატრონია. შინ, საოჯახო საქმეების კეთებას აჩვევს, ღირსეულ მამულიშვილებად ზრდის პატარებს.

შვილების და შვილიშვილების ბედნიერებას დღეს ველარ ესწრება ანდრო ბაბუა. მაგრამ იმედია, ალალად გარჯილი კაცის სახელს შთამომავლობა ღირსეულად შეინახავს.

**ა. შამუგია,**
შრომის ვეტერანი.

დედა ლიანა. მამა დურმიშხანი. და ნანა, მამიდა ლამარა. დეიდები ხიმური, თინა, ვარდო პაპკორიები, ბიძები ვახტანგი, ომარი. პავლუშა. როსტომი კუპუხიძეები. ნოდარი ბოკუჩავა. ამერან ჭოჭუა ლოდო პაპკორია. ხუტა აფშილავა, ვალიშა ალფენიძე, ახმეტი გუთია. ბიცოლები თალიკო. მზია. ლავანდა. იამზე. ლილი. ნელი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები. დეიდაშვილები. და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბესიკი დურმიშხანის ძე კუპუხიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 აგვისტოს. დაკრძალვა 7 აგვისტოს 6 საათზე ქ. ზუგდიდში. გამოსვენება კიროვის ქ. 27. ბინა №43-დან.

---

შვილები: კოტე. თინა, ეთერი. ზაირა ჯანაშიები. და ნორა ხურცილავა, შვილიშვილები ხათუნა. ლიანა ჯანაშიები. ვასიკო კიკალეიშვილი. ფატიმა. ცირა. ცინარა. დარიკო სართანიები. დისშვილები: სინეზა ფირცხალაიშვილი. ჯამბული. დოდო. მადონა წითაშვილები. ნელი. ლული. გურამი თოდუები. სიძეები: იროდი ჯიშკარიანი. ომარი კაკაჩია. ჯამბულ თოდუა ბადრი ოყუჯავა. ომარ აბშილავა. მაზლიშვილები: თორნიკე. ციალა, ნუნუ. თამარ ჯანაშიები. მულიშვილები: კარლო. კლარა. ლერი იუწყებიან

**დულა (ნადია) ბუჭუს ასულ ხურცილავა-ჯანაშიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4. 5 აგვისტოს. დაკრძალვა 7 აგვისტოს 6 საათზე. გამოსვენება პუშკინის ქ. 63-დან.

---

ქ. ზუგდიდის მე-14 საშუალო სკოლის მეცხრე (პირველი) კლასის პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები იუწყებიან

**ბესიკ დურმიშხანის ძე კუპუხიძის**

გარდაცვალებას.

---

ზუგდიდის რაიკოოპკავშირის კოოპვაჭრობის კოლექტივი იუწყება

**გიგა გიგლას ძე დიდიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: ლორა. შალვა. მიტუშა. და ცაცა, რძლები: ოფელია. ნინა ნაროუშვილები, ლუბა კაკაშვილი. ციალა ქაჯაია. ნათელა იოსავა, სიძეები იროდიონ თვალავაძე, ნიკოლოზ ჯლარკავა, დონადუ კორტავა, შვილიშვილები მარინა. მურთაზი,, ჯანიკო ჯლარკავები. კახა, ნუკრი. დათო. მანანა. მამუკა კაკაშვილები ძმისშვილები: ეთერი. ვაჟა, გული. თალიკო. ნორა. ვალია. ზური. ლეილა, როლანდი. დისშვილები: ხუტია, ვაკონა. ნარგიზა. ნოდარი ჯანაშიები, ნაირა, ალიკა თვალავაძეები, მამიდაშვილები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**გოგოლა ანტონის ასულ ნაროუშვილი-კაკაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 აგვისტოს. დაკრძალვა 7 აგვისტოს სოფელ ცაცხვში.

---

ძმები: ილიკო. ვალოდია ლემონჯავები, აბელ ნარუშვილი, ჭიჭიკო თორია, და გული. რძლები ლიანა მარგო. მზია. იამზე. ძმისშვილები: ლუდუკა. თენგიზი, ლიანა. პაატა. დათო, ქეთინო, ვენგერი ნარუშვილი. დისშვილები: შაქრო. იურა, როზა კაკულიები. თინა. ტუტუ კალანდიები, ტარიელი. მარიკა როსტობაიები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ადამური მიხას ძე ლემონჯავა.**

პანაშვიდი 8, 9 10 აგვისტოს. დაკრძალვა 11 აგვისტოს. გამოსვენება ზუგდიდი, მოსკოვის ქ. 18 საათზე. დაკრძალვა სოფ. დიდინეძში.

---

ენგურქაღალდკომბინატის №76 პროფესიონალური სახანძრო ნაწილის თანამშრომლები იუწყებიან

**ბადრი ვანიჩქას ძე აბშილავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა დოდო, მამა გიგლა. დები ხანა, ცირა, ჟანა, ნათია. ბებიები: სონია, ნათელა დიდიშვილები, ჟურა ქარდავა. ბაბუები: ილიკო დიდიშვილი, ვანია ქარდავა, ბიძები თამაზ ბულია. მურმან. ბორის დიდიშვილები, არველოდი, ივანე. ბონდო, ჯარნაზ ქარდავები, არტემი. ლულუნი. ვანია. ზურაბი. ნუგზარი. თამაზი. გულადი. ედემი. მამიდები: ლუიზა. შურა. ბუკულა, დეიდები: ნინო. დარიკო, შურა. ჟუჟუნა. თეზიკო. ვალინა, ბიცოლები: ლიდა, ინეზა. ინგა. ნანული, ლენა, სულიკო. თინიკო. ემა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან

**გიგა გიგლას ძე დიდიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 7. 8 აგვისტოს. დაკრძალვა 9 აგვისტოს 18 საათზე. გამოსვენება ზუგდიდი, მარჯვენა სანაპიროს ქუჩა 20.

---

ზუგდიდის საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს და საქქაღალდმრეწველთან არსებული კვების კომბინატის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კვების კომბინატის ინჟინერ-ტექნოლოგის

**გია რევაზის ძე ბულიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნარაზენის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

**პალადი (მუტუ) პოისიმეს ძე ბეჭვაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

# ა. ტ. ხ ა ფ ა ვ ა



გარდაიცვალა სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენისა და რამდენიმე მედლის კავალერი, სკკპ წევრი 1938 წლიდან **არტემ ტაგუს ძე ხაფავა.**

იგი დაიბადა 1909 წელს გალის რაიონის სოფელ გაგიდაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სხვადასხვა დროს მუშაობდა კოლმეურნეობაში ბრიგადირად. სოფელ ფიჩორის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1941-46 წლებში იყო სსრ კავშირის შინსახკომის საჯარისო ნაწილებში.

1946 წლიდან იგი ქალაქ ზუგდიდის კომუნალური განყოფილების ინსპექტორია, შემდგომ წლებში ბრიგადირი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ზუგდიდვაჭრობის განყოფილებასა და №65 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში. მიღებული ჰქონდა სამკერდე ნიშანი „პარტიაში 50 წელი".

წავიდა ჩვენგან ვაჟკაცი, მრავალი საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკობილი პიროვნება, რომლის ნათელი სახე დიდხანს ემახსოვრება მათ, ვისთანაც წლების მანძილზე უხდებოდა შრომითი საქმიანობა.

**ამხანაგების ჯგუფი.**

**რედაქტორი**
**აკ. მანტურია.**

---

კახათის №1 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება

**თალიკო ივანეს ასულ ნანავა-მებონიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის რაიონის მელიორების საწარმოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან საწარმოს თანამშრომლის

**აბიკო ბიკენტის ძე ქარდავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24 80, რედაქტორის მოადგილის—2-86 69, პასუხისმგებელი მდივნის —2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, ჰადიორედაქციის —2 87 96

საქ. სსრ გამომცემლობა ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 58 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3555